პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 168 (3145)
30 აგვისტო, 1966 წ. სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფიზკულტურა — მასებში!

აღზრდა ყოველმხრივ განვითარებული, სულიერად მდიდარი, მორალურად წმინდა, ფიზიკურად სრულყოფილი ადამიანისა — კომუნისტური საზოგადოების წარმატებით შენების ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობაა. ამ საქმეში დიდი როლი ეკისრება ფიზიკურ აღზრდას.

საბჭოთა სახელმწიფომ ყველა პირობა შექმნა ადამიანის ჯანმრთელობის დაცვისა და მისი ფიზიკური გაკაჟებისთვის. ფიზკულტურამ და სპორტმა ჩვენს ქვეყანაში არნახულ გაქანებას მიაღწია. საბჭოთა სპორტულ ალმებს ქვეშ 46 მილიონი კაცია გაერთიანებული. ამ მხრივ გაწეული საქმიანობის ნაყოფი ნათელია, მაგრამ ახლა იგი უკვე ველარ პასუხობს დღევანდელ გაზრდილ მოთხოვნებსა და კომუნისტური აღზრდის ამოცანებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ახალ დადგენილებაში ხაზგასმითაა აღნიშნული ფიზიკური კულტურისა და სპორტის დიდი მნიშვნელობა საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში, დასახულია კონკრეტული ზომები მისი შემდგომი განვითარებისთვის. პარტია ფიზკულტურულ მოძრაობას განიხილავს, როგორც ახალგაზრდობის მორალურ და სულიერ ჩამოყალიბებაზე აქტიური ზემოქმედების საშუალებას, როგორც გაჯანსაღების, შრომის ნაყოფიერების ამაღლების, სამშობლოს დასაცავად საბჭოთა ადამიანების მომზადების, ჯანმრთელი ყოფის ორგანიზაციის საშუალებას.

ჩვენში ფიზიკურ კულტურას ჭეშმარიტად საერთო-სახალხო ხასიათი უნდა ჰქონდეს. იგი უნდა ემყარებოდეს აღზრდის მეცნიერულად დასაბუთებულ სისტემას, უნდა მოიცავდეს მთელ მოსახლეობას. მაგრამ ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობაში ჯერ კიდევ ხშირია ამ პრინციპებიდან გადახვევის მაგალითები. არის კოლექტივები, სადაც მთავარ საქმედ ერთეულთა მაღალი სპორტული მაჩვენებლები მიაჩნიათ, რეკორდსმენებისა თუ ცალკეული გუნდების მომზადებას ყურადღებით ეკიდებიან, ფიზკულტურის მასობრივად განვითარებისთვის კი სათანადოდ არ ზრუნავენ.

ყოველი ადამიანის ფიზიკურ განვითარებას საძირკველი სკოლაში, პროფტექნიკურ სასწავლებელში, ტექნიკუმსა თუ უმაღლეს სასწავლებელში უნდა ჩაეყაროს. ამ ბოლო წლებში ცოტა როდი გაკეთდა მოსწავლე-ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის გასაუმჯობესებლად. მაგალითად, რუსეთის ფედერაციის მთელი რიგი ოლქების, უკრაინის, ბელორუსიის, ლატვიის, ესტონეთის სკოლებში ფიზკულტურას კვალიფიციური პედაგოგები ასწავლიან, აქვთ სპორტული დარბაზები და მოედნები, თითქმის ყველა მოსწავლე ჩაბმულია აქტიურ სპორტმასობრივ მუშაობაში. ესტონეთში მოსწავლეთა 85 პროცენტზე მეტს აქვს სპორტული თანრიგი. რესპუბლიკის სკოლებში, ტექნიკუმებში, უმაღლეს სასწავლებლებში, რაიონებსა და ქალაქებში ტარდება მასობრივი სპორტული შეჯიბრებები. სამწუხაროდ, ესტონეთის მაგალითმა ჯერ კიდევ ვერ ჰპოვა ფართო გავრცელება. ბევრ სასწავლებელში ფიზკულტურული მუშაობა არ არის დამაკმაყოფილებელი. იშვიათად როდი შეხვდებით ახალგაზრდას, რომელსაც სკოლაში ცურვა, რბენა, თხილამურებზე სიარულიც კი არ უსწავლია. დღეს ვერც სკოლა და ვერც უმაღლესი სასწავლებელი მომავალ თაობას სწორად ვერ აღზრდის ფიზკულტურასა და სპორტზე დაუყრდნობლად. სახალხო განათლების ორგანოებმა, სასწავლებლების ხელმძღვანელებმა ახალგაზრდების ფიზიკური წრთობა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საქმედ უნდა მიიჩნიონ.

სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფიზიკურ კულტურას წარმოების სფეროშიც. დღეს შრომა ადამიანისგან მოითხოვს ნერვულ-ფსიქიკური ფუნქციების დიდ დაძაბვას, დიდძალი მოვლენების აღქმისა და გააზრების ურთულესი ამოცანების უსწრაფესად გადაჭრისთვის. ამჟამად საწარმოო ტანვარჯიშში რეგულარულად მეცადინეობს ჩვენი ქვეყნის საწარმო-დაწესებულებათა მილიონობით მუშა და მოსამსახურე.

ამჟამად ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ყველა მშრომელი ჩავაბათ სპორტის სხვადასხვა სახეობაში, ტურიზმში, საწარმოო ტანვარჯიშში. ამ ამოცანის შესრულებისთვის, პირველ ყოვლისა, უნდა ავამაღლოთ ფიზკულტურის კოლექტივების, როგორც საწარმოებში, კოლმეურნეობებში, დაწესებულებებში და მშრომელთა საცხოვრებელ ადგილებში სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის აქტიური ორგანიზატორების როლი. რეგულარულად უნდა ჩატარდეს სპორტული შეჯიბრებები და „ჯანმრთელობის სპარტაკიადები“, უნდა შეიქმნას საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანთა ფიზკულტურული ჯგუფები, სპორტული და ტურისტული ბაზები, ტურისტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკები.

დიდ ზრუნვას მოითხოვს ფიზკულტურული მოძრაობის განვითარების საკითხი სოფლად, სადაც იგი ჯერ კიდევ სუსტადაა ორგანიზებული. მაგალითად, კალინინის ოლქის 356 კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში საერთოდ არ არსებობს ფიზკულტურის კოლექტივი. ახალგაზრდა კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობის მუშები და მოსამსახურეები სპორტში არ მეცადინეობენ. თუმცა კი შეიძლება ფიზკულტურული ცხოვრება სოფლად იყოს არანაკლებ შინაარსიანი, ვიდრე ქალაქად.

მოსახლეობის ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესება დიდადაა დამოკიდებული მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების კარგ მუშაობაზე. მათი ვალია მიაღწიონ მასობრივ-სპორტული მუშაობის კარგ ორგანიზაციას,ააგონ ახალი სტადიონები, მოედნები, აუზები, აქტიურად დაუჭირონ მხარი საზოგადოებრიობის თაოსნობას ამ საქმეში. ფართო გავრცელების ღირსია დნეპროძერჟინსკის, სალავათის, ანგარსკის, სევეროდონეცკის, კახოვკის მცხოვრებთა კარგი წამოწყება, — გადააქციონ თავიანთი ქალაქები ჯანმრთელობისა და სპორტის ქალაქებად.

პარტიისა და მთავრობის მიერ ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი აღმავლობისთვის დასახული ღონისძიებები დიდი ხნით უნდა იქცეს პარტიული ორგანიზაციების ყურადღებისა და ზრუნვის საგნად. უპირველესი ამოცანაა სამინისტროების, უწყებათა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების გაერთიანებული ძალით ყოველმხრივ სრულვყოთ სპორტულ-გამაჯანსაღებელი საქმიანობა. გამუდმებით უნდა ვსწავლობდეთ და ვავრცელებდეთ საუკეთესოთა გამოცდილებას ფიზკულტურასა და სპორტში; ხელი უნდა შევუწყოთ კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციების, ფიზკულტურული აქტივის დამოუკიდებელ საქმიანობას.

ამჟამად ადგილებზე სახავენ კონკრეტულ გეგმებს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულებისთვის. პარტიულმა ორგანოებმა ფხიზლად უნდა ადევნონ თვალი, რომ ეს გეგმები მხოლოდ გეგმად არ დარჩეს და პრაქტიკულ საქმიანობაში ჰპოვოს გამოხატულება. განსაკუთრებულ ზრუნვას საჭიროებს მასობრივი სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზების განმტკიცება, ფიზკულტურული კადრების შერჩევა, აღზრდა და განაწილება, სამეურნეო და საზოგადოებრივი ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის ამაღლება საწარმოებში, კოლმეურნეობებში, სასწავლებლებში ფიზიკური კულტურის განვითარებისთვის.

დაე, იმრავლოს ფიზკულტურელთა რიგებმა!

„პრავდა“, 28 აგვისტო.

# სამივე პრიზი და 24 მედალი!

## თბილისელი მოცურავის წარმატება

წყალზე შეჯიბრებათა ისტორიაში უდიდესი გამარჯვება მოიპოვეს სსრ კავშირის სპორტსმენებმა ევროპის ჩემპიონატში, რომელიც შაბათს უტრეხტში დამთავრდა. ჰოლანდიის ამ ქალაქიდან მათ წამოიღეს ოქროს 12, ვერცხლის 7 და ბრინჯაოს 5 მედალი, დაისაკუთრეს გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებულთათვის დაწესებული სამივე პრიზი — ევროპის, ბრედიუსისა და ფერნის თასები. ამგვარი წარმატებისთვის მანამდე არც ერთ ქვეყანას არ მიუღწევია. თუ მოვიგონებთ, რომ 4 წლის უკან (ლაიპციგში) გამართულ ამგვარ ჩემპიონატში ჩვენებმა ოქროს მხოლოდ 4 მედალი მოიპოვეს, დავრწმუნდებით, თუ რამდენად დაწინაურდა სსრ კავშირი ცურვაში, წყალბურთსა და წყალში ხტომაში.

II ადგილი მოიპოვეს გდრ-ის წარმომადგენლებმა, ხოლო III — ჰოლანდიელებმა. ასპარეზობის 8 დღის მანძილზე გაუმჯობესდა მსოფლიოს 2, ევროპის 11 და 100-მდე ეროვნული რეკორდი.

მოცურავეთა ბოლო სტარტებისას კარგად გამოვიდა თბილისელი ა. ტუტაკაევი. 4×100 მეტრზე ვაჟთა კომბინირებულ ესტაფეტაში იგი ნახევარფინალში მონაწილეობდა და დიდი წვლილი შეიტანა გუნდის წარმატებაში, ფინალში კი ჩვენმა კვარტეტმა პირველობა მოიპოვა, რისთვისაც ტუტაკაევმაც ოქროს მედალი დაიმსახურა. მეორე მედალი თბილისელმა 200 მეტრზე ბრასით ცურვაში მოიპოვა: ჩემპიონს — პროკოპენკოს 0,3 წამით ჩამორჩა და „ვერცხლი“ დაისაკუთრა.

ბოლო დღეს თავი ისახელა ს. ბელიცგეიმანმაც. 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მან აჩვენა 16.58,5, რაც ევროპის ახალი რეკორდია. კონტინენტის ახალი რეკორდი დაამყარა საბჭოთა ქალების კვარტეტმა (ნ. სიპჩენკო, ა. რუდენკო, ნ. უსტინოვა და თ. სოსნოვა) 4×100 მეტრზე ესტაფეტაში თავისუფალი სტილით — 4.11,3.

400 მეტრზე კომპლექსური ცურვა მოიგო ჰოლანდიელმა ბ. ჰეკელსმა — 5.25,0. ლ. ხაზიევა III ადგილით დაკმაყოფილდა, სამაგიეროდ, მან სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა — 5.28,4.

წყალში მხტომელები ბოლო ვარჯიშს კოშკიდან ასრულებდნენ. გაიმარჯვა იტალიელმა კ. დიბიასმა — 162,92 ქულა. საბჭოთა სპორტსმენებიდან საუკეთესო იყო ვ. კუზმინკინი. 137,76 ქულით მას V ადგილი მოუტანა.

იმარჯვეს წყალბურთელებმაც: ფინალში მათ დაამარცხეს გდრ-ის ნაკრები (1:0) და კონტინენტის ჩემპიონის სახელი დაიბრუნეს.

# ჩვენი ვალი

საბჭოთა კავშირის ფიზკულტურელები და სპორტსმენები მუდამ გარემოსილი არიან მშობლიური კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური შეუნელებელი ზრუნვით, რის შედეგად სულ უფრო მასობრივი ხდება ფიზკულტურული მოძრაობა ჩვენში, ხოლო ჩვენი სპორტსმენები დიდ წარმატებებს აღწევენ საერთაშორისო სარბიელზე.

ამ ზრუნვის ახალი შესანიშნავი ნიმუშია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება — „ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც ამ დღეებში გამოქვეყნდა პრესაში. ეს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი ხელს შეუწყობს სპორტულ ნაგებობათა ქსელის შემდგომ გაფართოებასა და მის სწორად გამოყენებას. დადგენილება ადგილობრივ ორგანოებს ავალებს ყოველმხრივ გააფართოონ კომპლექსური სპორტული მოედნების, სტადიონებისა და სხვა სპორტნაგებობათა მშენებლობა კოლმეურნეობებში. საბჭოთა მეურნეობებში... მაგალითად, მარტო ის რად ღირს, რომ სასოფლო კლუბების მშენებლობისას უეჭველად უნდა გავითვალისწინოთ სპორტმოედნებისა და დარბაზების აგებაც. ბაზა კი, ცხადია, სპორტში წარმატების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა.

ჩვენი ვალია პარტიისა და მთავრობის ამ დაუცხრომელ ზრუნვას გაორკეცებული შრომით ვუპასუხოთ. დადგენილების ცხოვრებაში განუხრელად გატარება, — ასეთია ჩვენი სადღეისო ამოცანა.

ვ. ჟღენტი,
„კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე.

სპორტული საათი...

# საბჭოთა იუნიორები — ჩემპიონები

## გადამწყვეტი თამაში მოგებულია — 71:50

◆ **პორტო სან-ჯორჯო, 29 აგვისტო.** ევროპის იუნიორ კალათბურთელთა ჩემპიონატი მესამედ გაიმართა და გამარჯვებულის კვარცხლბეკზე მეორედ ავიდნენ საბჭოთა სპორტსმენები. იტალიის ამ ქალაქში მათ შესანიშნავად ჩაატარეს ტურნირი, რომელშიც 8 ქვეყნის გუნდები ასპარეზობდნენ.

ფინალურ მატჩში ჩვენებმა დაამარცხეს იუგოსლავიელები — 71:50 (37:26). სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ მათ ყოველმხრივ დაჯაბნეს მეტოქე და შეძლეს მოწინააღმდეგის უძლიერესი თავდამსხმელის, გიგანტ იუშიჩის (მისი სიმაღლეა 214 სმ) განეიტრალება.

სპორტული მიმომხილველების აზრით, ეს იყო საბჭოთა ნაკრების საუკეთესო მატჩი მთელ ტურნირში. გამარჯვებული გუნდი ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: კიეველი ა. პოლივოდა (მის ანგარიშზეა 18 ქულა), ტარტუელი ა. კრიკუნი (14), ერევნელი ვ. ზასტუხოვი (12), თბილისელები ს. კოვალენკო (11) და მ. ქორქია (1), ვოლგოგრადელი ა. ბალაშოვი, ყაზანელი ვ. ნიკიტინი, კიეველი დ. ნოვიკოვი (4-4), მოსკოველი ა. აბრამოვი (3).

იუგოსლაველმა ჭაბუკებმა დაიკავეს II ადგილი. III ადგილზე არიან მასპინძლები — იტალიელი კალათბურთელები, რომლებმაც მოუგეს ჩეხოსლოვაკიელებს — 47:42 (მანამდე, ნახევარფინალში, იტალიელები დამარცხდნენ საბჭოთა გუნდთან — 44:53).

თბილისის ზღვაზე გუშინწინ დაიწყო დოსააფის XI საკავშირო ჩემპიონატი საწყლოსნო-სამოტორო სპორტში. ასპარეზობაში ჩაება ყველა მოძმე რესპუბლიკის, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის საუკეთესო გუნდები, რომელთა შემადგენლობაში არიან ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები და რეკორდსმენები ბოგდანოვი, პალენევიჩი, კრუმინში, შიპილოვი, ჟილინი, სლინკოვი და სხვ.

პირველ დღეს მეტად საინტერესო იყო 175 და 250 კბ სმ მოცულობის ძრავიანი სკუტერებით შეჯიბრება.

• • •



ს უ რ ა თ ზ ე: 250 კბ სმ სკუტერები ერთ-ერთ მოსახვევში.

ფოტო ო. გელაშვილისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა





# შრომა და ზეიმი

უჩვეულო სანახავი იყო იმ დღეს ცხაკაია. კულტურისა და დასვენების პარკი, ქუჩები, მოედნები საზეიმოდ მორთოთ, მხიარულობდნენ, ცეკვავდნენ, მღეროდნენ... ტრანსპარანტები რაიონის მეჩაიეთა სასახელო მიღწევებზე ღაღადებდა: 25 აგვისტოსთვის ცხაკაიელებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 5.141 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, რაც 1.184 ტონით აღემატება გეგმას და 1.560 ტონით — შარშანდელ მაჩვენებელს. ამას გარდა, მათ წლეულს 1970 წლის გეგმა გაანაღდეს.

ამ გამარჯვებას რაიონის ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა სწვდდა, მაგრამ საუკეთესოთა შორის საუკეთესონი იყვნენ ეკის (გეგმა შეასრულა 151,6 პროცენტით), ზანის ჟდანოვის (125,6), უშაფათის ორჯონიკიძის (133,9), ხორშის გამარჯვების სახელობის (140) და სხვა კოლმეურნეობები.

სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრება სახალხო თეატრის შენობაში გაიმართა. რაიონის მშრომელთა წარმატებაზე ილაპარაკა პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. შონიამ. სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა შ. ჭანუყვაძემ. მოზეიმე ცხაკაიელებს ეწვივნენ, აგრეთვე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი მ. ღვინჯილია, კომუნალური მეურნეობის მინისტრი ვ. პაატაშვილი და სხვ.

საერთო გამარჯვებაში მცირე წვლილი როდი მიუძღვით ფიზკულტურელებს. ფიზკულტურული კოლექტივი რაიონის ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაშია შექმნილი.

ამ კოლექტივების საბჭოები მუდამ მხარში ედგნენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს ახალგაზრდების დარაზმვის საქმეში. სწორედ ამიტომ იყო, რომ საერთო დღესასწაული სხვებთან ერთად სპორტსმენებმაც იზეიმეს. იმ დღეს მათ დაეთმოთ ჩხოროწყუს გზატკეცილი, ქალაქის სპორტკავშირისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოედნები, იპოდრომი.

სპორტული კარნავალი დოსააფის ავტომობილისტებმა და მოტოციკლისტებმა გახსნეს. საავიაციო ლაშქრობის მონაწილეები ადრიანად გაუდგნენ გზას. მთელი რაიონი მოიარეს და მშრომლებს გამარჯვება მიულოცეს. მერე ველოსიპედისტები გავიდნენ გზატკეცილზე. 25 კილომეტრზე საერთო სტარტით შეჯიბრებაში პირველობას 30 კაცი ეცილებოდა ერთმანეთს. გამარჯვებისათვის ბრძოლა, ძირითადად, ვ. ნარმანიას, რ. სვანიძეს (ორივენი — სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი), მ. თეთრუაშვილს (საქვაჯრობა), ც. შენგელიასა (ზაოიანი ქსოვილის ფაბრიკა) და მ. კერძაიას (ძველი სენაკის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობა) შორის მიმდინარეობდა. მაგრამ მერე ვ. ნარმანია დაწინაურდა. ფინიშამდე 500 მეტრი რომ დარჩა, მას მანქანა დაუზიანდა, დრო დაკარგა და საბოლოოდ III იყო — 50.13,2. გაიმარჯვა თეთრუაშვილმა — 48.31,4. მას 0,7 წამით ჩამორჩა სვანიძე.

ქალაქის ორ სტადიონზე დილიდანვე ცვლიდნენ ერთმანეთს ფეხბურთელთა კოლექტივები. 14 გუნდი ასპარეზობდა ფრენბურთში... რაიონის 89 ფიზკულტურული კოლექტივიდან ერთიც არ დარჩენილა, რომელიმე სახეობაში რომ არ ეჩვენებინა თავისი ძალა და უნარი.

მაგრამ სპორტული ზეიმის გვირგვინს ამ 7 წლის წინათ დაკარგული ტრადიციის აღორძინება — ცხენოსანთა ასპარეზობა წარმოადგენდა. პირველნი სწორედ ცხაკაიელები გამოეხმაურნენ ჩვენი რესპუბლიკის ზემდგომი ორგანიზაციების გადაწყვეტილებას საქართველოში ეროვნული სახეობებისა და, განსაკუთრებით, ცხენოსნობის განვითარების შესახებ.

იმის თაობაზე, თუ როგორ უყვართ ცხაკაიაში სპორტის ეს სახეობა, სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. მხოლოდ გაგახსენებთ, რომ არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ცხაკაიელებს ჰყავდათ შესანიშნავი მხედრები და ცხენები, მათი გუნდები ტოლს არავის უდებდნენ რესპუბლიკაში და აი, ახლაც, იპოდრომზე 80-მდე მხედარი ასპარეზობდა.

შეჯიბრების დაწყებამდე კი ჩოხაახალუხში გამოწყობილმა ცხენოსნებმა ომახიანი სიმღერებით შემოიარეს ქალაქი. კოლონას წინ მიუძღოდნენ ვეტერანები, საქართველოს არაერთგზის ჩემპიონი და სსრ კავშირის ჩემპიონი ჩეხვაში გ. ივანიძე, 85 წლის ბ. კალანდარიშვილი და შ. ალანია.

იპოდრომზე 10 ათასზე მეტმა მაყურებელმა მოიყარა თავი. ვიდრე მოასპარეზენი გამოჩნდებოდნენ, სარბიელს თვითმფრინავმა გადაუქროლა და მოედანზე დოსააფის პარაშუტისტი დაეშვა. მერე ისინიც დაიწყო. თეკლათის კალინინის სახელობისა და ეკის კოლმეურნეობების ცხენოსანთა მატჩი თეკლათელებმა მოიგეს — 6:5. გამარჯვებულ გუნდს 2 ქულა შესძინა 75 წლის მხედარმა ე. ბაკურაძემ. მას მხარს უმშვენებდა 60 წლის ი. წურწუმია. თეკლათის ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობის სპორტსმენებმა დაამარცხეს ზანის, უშაფათის, ფოცხოს, ლეძაძამის კოლმეურნეობების ნაკრები — 3:1. მათვე მოიგეს ფინალი ისინდში — 7:4.

რაიონის ცხენბურთელთა I და II ნაკრებმა გუნდებმა საჩვენებელი შეხვედრა გამართეს. II ნაკრების წევრებმა 4 ბურთი გაიტანეს, თავის მაყაში კი 2 მიიღეს. საქართველოს ნაკრების წევრმა გ. ლაშქარავამ მისთვის ჩვეული ოსტატობით გაიტანა 3 გოლი.

მოეწყო ჯიშიანი ცხენების დოღი 3 კილომეტრზე. აქ ყველას აჯობა თეკლათის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის გუნდის წევრმა ი. ნანავამ (ცხენი „ზადორი") — 3.54,0. 2-კილომეტრიანი დოღი მოიგო ლეძაძამელმა გ. ხურცილავამ („შამილი") — 2.46,0.

საინტერესო იყო მარულა 5 კილომეტრზე. დახელოვნებული მხედარი აღმოჩნდა ცხაკაიას მე-3 საშუალო სკოლის მეხუთეკლასელი ნიკოლოზ კაშია, მაგრამ მისმა „ალიამ", რომელიც ქარივით მიჰქროდა, 12 წლის მხედარს მეორე წრეზე წაართვა თავი და... თავლისკენ მოქუსლა. ვიდრე ბიჭუნა გაჯიუტებულ პირუტყვს დააოკებდა, მისი მეტოქეები დაწინაურდნენ. ნიკოლოზმა ცოტა ხანში თითქმის ისევ აინაზღაურა დანაკარგი დრო და სწორედ მაშინ, როცა ისევ ხელთ უნდა ეგდო ლიდერობა, ცხენმა კვლავ უღალატა — ბილიკიდან გავიდა. პირველობა მ. ქადარიას (უშაფათი) დარჩა, მაგრამ პატარა ნიკოლოზმა სიმამაცისთვის ძვირფასი ჯილდო დაიმსახურა.

ზეიმი დამთავრდა. კმაყოფილი მაყურებელი დარწმუნდა, რომ ცხაკაიაში ცხენოსნობა აღორძინების გზაზეა.

**ო. გელაშვილი.**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**

ცხაკაია.

* * *

**სურათებზე:** ზევით, მარცხნივ — **ისინდი. თეკლათისა და ეკის კოლმეურნეობების გუნდების შეხვედრის მომენტი;** მარჯვნივ — **იპოდრომზეა ცხენბურთელთა II ნაკრები;** შუაში — **პარაშუტისტი იპოდრომზე დაეშვა;** ქვევით — **მოტოციკლისტთა კოლონა ქალაქის ქუჩებში; ველოსიპედისტები ფინიშთან.**

ფოტო ავტორისა.



[illegible]

## ✦ თერჯოლა

8 გუნდი მონაწილეობდა „კოლმეურნის" ფეხბურთელთა რაიონულ გათამაშებაში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ღვანკითისა და ჩხარის გუნდები. გაიმარჯვეს ჩხარელებმა — 2:1.

**ლ. ჯიჯიაშვილი.**

## ✦ წინანდალი

აქ გაიმართა საინტერესო მატჩი ფეხბურთში ადგილობრივ ვეტერანთა და ახალგაზრდების გუნდებს შორის. თამაში მოიგეს ახალგაზრდებმა — 2:1.

**ლ. მაისურაძე.**





# „ბურევესტნიკი" ტურნირს მოუმზადებელი შეხვდა

თბილისში ინტერესი გამოიწვია „ა" კლასის II ჯგუფის ფრენბურთელ ვაჟთა საკავშირო შეჯიბრების პირველი წრის დასკვნითი ტურის მატჩებმა.

ტურნირს დაუმარცხებლად ლიდერობს ტალინის „კალევი", რომელმაც თავის აქტივში კიდევ 2 ქულა ჩაიწერა: ჯერ ესტონელებმა ადვილად მოუგეს II ადგილზე მყოფ მინსკის „ბურევესტნიკს", ხოლო შემდეგ ორსაათიან ბრძოლაში ფარ-ხმალი დააყრევინეს ლენინგრადის „სპარტაკს" — 3:2 (15:9, 7:15, 15:11, 13:15, 15:10). „კალევს" 14 შესაძლებლიდან 14 ქულა აქვს!

ლიდერს ფეხდაფეხ მიჰყვება მინსკის „ბურევესტნიკი", რომელმაც ესტონელებთან დამარცხების შემდეგ დამაჯერებლად მოუგო კიშინიოვის არმიელებს — 3:1 (15:13, 13:15, 15:4, 15:9).

სუსტად თამაშობს თბილისის „ბურევესტნიკი". ტურნირის აუტსაიდერებთან — ერევნის დინამოელებთან გაჭირვებით მოგებული მატჩის შემდეგ (3:2), საქართველოს ფრენბურთელები ლუგანსკის „ავანგარდს" შეხვდნენ. სხვათა შორის, ეს გუნდი, ჩვენს თანაგუნდელებთან და ლენინგრადის სპარტაკელებთან ერთად ფინალურ ეტაპში გასვლის შანსებს ინარჩუნებს (III ტურისთვის სამივე კოლექტივს 10-10 ქულა ჰქონდა).

საფიქრებელი იყო, რომ საკუთარი კედლები და საკმაოდ მდიდარი გამოცდილება თბილისელებს უპირატესობას მოუტანდა. თავდაპირველად ყველაფერი თითქოს ასეც წარიმართა. თბილისელებმა მაღალი ოსტატობა და შესანიშნავი საბრძოლო თვისებები გამოავლინეს: გადაარჩინეს უიმედო პარტია (აგებდნენ ანგარიშით 2:11). ძნელად თუ იფიქრებდა ვინმე, რომ ისინი ამ პარტიას ბედს შემოატრიალებდნენ, მაგრამ სამდღიანი შეჯიბრების განმავლობაში მათ პირველად აჩვენეს ნამდვილი თამაში და პარტიაც მოიგეს — 15:13. სამწუხაროდ, ეს მხოლოდ წუთიერი აფეთქება გამოდგა.

მეორე პარტია, როგორც ორი წვეთი წყალი, ისე გავდა პირველს. სტუმრები კვლავ დაწინაურდნენ (11:2), მაგრამ, ამჯერად, სასწაული არ მოხდა: ლუგანსკელებმა მშვიდად აიღეს კიდევ 4 ქულა და გაიმარჯვეს — 15:2.

მომდევნო ორ პარტიაში ბრძოლა უფრო ენერგიული და დაძაბული გამოდგა. ცალკეულ მომენტებში ორივე გუნდმა მაღალი კლასის ფრენბურთი გვიჩვენა. სამწუხაროდ, ორივე შემთხვევაში ჩვენები, ასე ვთქვათ, დამწევთა როლში გამოდიოდნენ.

ბოლოსდაბოლოს, „ბურევესტნიკმა" იგრძნო, რომ თამაშის გარდატეხის თავი მას არ ჰქონდა. შეცდომა შეცდომას ცვლიდა, ხოლო მეორე პარტიის შუაგულში მასპინძლებს თავს დაატყდათ ახალი მარცხი — მოედანი დატოვა დაშავებულმა მ. თათარაშვილმა, რომელიც ამ მატჩში თბილისელთა შორის საუკეთესო იყო. ამას თუ დავუმატებთ, რომ ჩვენი გუნდი ამ დღეს ერთ-ერთი მოწინავე მოთამაშის ვ. გავრილენკოს გარეშე თამაშობდა, ცხადი გახდება, რომ „ბურევესტნიკი" ლუგანსკის გუნდთან მატჩში განწირული იყო. მესამე და მეოთხე პარტიები წაგებულ იქნა ერთნაირი ანგარიშით — 10:15.

როგორც ჩემპიონატის ბოლო ორმა მატჩმა გვიჩვენა, თბილისის „ბურევესტნიკი" ამ შეჯიბრებას მოუმზადებელი შეხვდა როგორც ტექნიკურად, ისე ფსიქოლოგიურად. კიდევ მეტიც — გუნდში აშკარად დაბალ დონეზეა დისციპლინა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ საანგარიშო მატჩში გუნდის წევრები დაუსრულებლად ეკამათებოდნენ არბიტრს, თუმცა მასთან არაფერი იყო სადავო.

**ლ. ფალავანდიშვილი,**
**სპორტის დამსახურებული ოსტატი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი 1966

## სსრ კავშირის თასზე

## პირველი მეოთხედფინალი — 3 სექტემბერს

გასულ შაბათს მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო თასის გათამაშების მეოთხედფინალურ მატჩებში მონაწილე გუნდების კენჭისყრა. ოდესის „ჩერნომორეცი“ 8 სექტემბერს საკუთარ მინდორზე მიიღებს სვერდლოვსკის „ურალმაშს“. მეორე დღეს გაიმართება კიდევ 2 მატჩი: „ტორპედო“ (მოსკოვი) — „კაირატი“ (ალმა-ათა) და „დინამო“ (მინსკი) — „შინიკი“ (იაროსლავლი).

კენჭისყრის მიხედვით, კიევის „დინამო“ შინ ითამაშებს სსრ კავშირის თასის მფლობელთან — მოსკოვის „სპარტაკთან“. მატჩის ჩატარების თარიღი ჯერჯერობით დაუდგენელია.

## პრიზი გათამაშდა

ხარკოვში დამთავრდა „ტყავის ბურთის“ პრიზის გათამაშება ნორჩ ფეხბურთელთა შორის.

ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ „ანი“ (ერევანი) და „ზარია“ (კამენსკ-ურალსკი). საინტერესო თამაში მოიგო „ანიმ“ — 2:1, რომელიც დაჯილდოვდა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მთავარი პრიზით, ხოლო ფეხბურთელებს სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ი. ნეტომ გადასცა ოქროს მედლები. „ზარიას“ მოთამაშეებს ვერცხლის მედლები გადასცა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა კ. კრიჟევსკიმ.

III ადგილისთვის იბრძოდნენ „გიოკ-გიოლი“ (კიროვაბადი) და „დელისი“ (თბილისი). მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0, ამიტომ ორივე კარში დაინიშნა 5-5 პენალტი. აქ იმარჯვეს აზერბაიჯანელებმა და გამარჯვებაც მათ დარჩათ — 5:4. ორივე გუნდის წევრებს გადაეცათ ბრინჯაოს მედლები. ფეხბურთელებს ეს ჯილდოები გადასცეს სპორტის დამსახურებულმა ოსტატებმა კ. ბესკოვმა და ბ. კუზნეცოვმა.

ტურნირში დანიშნული იყო სპეციალური პრიზები. ხარკოვის „ფაკელმა“ მიიღო პრიზი ყველაზე ლამაზი თამაშისთვის ფინალურ ტურნირში, ხოლო სწავლასა და სპორტში წარმატებებისთვის პრიზი დაიმსახურა მუროემსკის „ავანგარდმა“. ყველაზე ტექნიკურ გუნდად მიჩნეულ იქნა იაროსლავლის „ორლიონოკი“, ყველაზე მეგობრულ გუნდად — ვილნიუსის „დრუჟბა“, ყველაზე უკეთეს სასოფლო გუნდად — კოლმეურნეობა „1 მაისის“ გუნდი „ჩაიკა“ (ტომსკის ოლქი). წინასწარ შეჯიბრებებში ნაჩვენები ლამაზი თამაშისთვის პრიზი გადაეცა მოსკოვის „ჩაიკას“.

საბჭოთა ფეხბურთის ვეტერანებმა ყველა გუნდის კაპიტნებს გადასცეს ბურთები სსრ კავშირის ნაკრები გუნდის მოთამაშეთა ავტოგრაფებით. ასეთივე საჩუქარი გადაეცათ იქ სტუმრად მყოფ გდრ-ის ბავშვთა გუნდის მოთამაშეებს.

## საქართველოს სპორტკავშირში

# კოლექტივის გაჯანსაღებისთვის

ქ. ქუთაისის სპორტკავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა ქუთაისის „ტორპედოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის წევრის ჯ. ხერხაძის საკითხი. ეს ფეხბურთელი ხშირად არღვევდა დისციპლინას, სპორტულ რეჟიმს, რის გამოც მისი სპორტულ-ტექნიკური მომზადების დონე ბოლო ხანებში ძალზე დაქვეითდა.

გამოირკვა, რომ გუნდის ხელმძღვანელობამ ჯ. ხერხაძეს წინადადება მისცა ეთამაშა დუბლიორთა შემადგენლობაში, მაგრამ ეს უკანასკნელი არ დაეთანხმა მწვრთნელებს და დემონსტრაციულად დატოვა გუნდი. ჯ. ხერხაძე გარიცხულ იქნა „ტორპედოდან“ და აეკრძალა საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობა სეზონის დასასრულამდე.

მაგრამ გამოირკვა, რომ ქუთაისის სპორტკავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა ჯ. ხერხაძის საკითხი უმისოდ განიხილა, ამასთან, აღნიშნულ საკითხზე არ უმსჯელია არც კოლექტივს და არც ფეხბურთის საქალაქო ფედერაციას.

ჯ. ხერხაძემ აღიარა დანაშაული, რის გამოც ქუთაისელ ფეხბურთელთა კოლექტივმა დააყენა საკითხი მისი აღდგენის თაობაზე.

ამას გარდა, ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელებმა ჯ. ხაჟალიამ და ი. ლოსაბერიძემ თვითნებურად მიატოვეს გუნდი მაშინ, როცა იგი მიემგზავრებოდა საერთაშორისო მატჩების ჩასატარებლად ბულგარეთში. მიუხედავად გუნდის ხელმძღვანელობის კატეგორიული მოთხოვნისა, ხაჟალია და ლოსაბერიძე არ გაჰყვნენ გუნდს ბულგარეთში და ტორპედოელები ორი ძირითადი მოთამაშის გარეშე გაემგზავრნენ უცხოეთს.

რესპუბლიკის სპორტკავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა: იმასთან დაკავშირებით, რომ ჯ. ხერხაძემ შეიგნო თავისი დანაშაული, გამოეცხადოს მას სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით და მიეცეს პირობითი დისკვალიფიკაცია 1 წლით. ჯ. ხერხაძეს ნება დაერთო ითამაშოს სსრ კავშირის 1966 წლის ჩემპიონატის მატჩებში.

პრეზიდიუმმა გაითვალისწინა, რომ ჯ. ხაჟალია და ი. ლოსაბერიძე პირველად არიან შემჩნეული დისციპლინის დარღვევაში და გამოუტანა მათ სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.

ქუთაისის სპორტკავშირის პრეზიდიუმს დაევალა მომავალში დისციპლინის დარღვევის შემთხვევები განხილულ იქნას კოლექტივის კრებაზე, ქალაქისა და სპორტსაზოგადოების ფეხბურთის ფედერაციების სხდომებზე და მხოლოდ ამის შემდეგ — საქალაქო სპორტკავშირის პრეზიდიუმში.

ქუთაისის სპორტკავშირმა ფეხბურთის ფედერაციასთან და გუნდის ხელმძღვანელობასთან ერთად უნდა გააძლიეროს აღმზრდელობითი მუშაობა „ტორპედოს“ ფეხბურთელთა კოლექტივში და აღკვეთოს დისციპლინის დარღვევის შემთხვევები.

# იუბილეს დღეს...

დონეცკი. „შახტიორის“ სტადიონი. 28 აგვისტო.

„შახტიორი“ (დონეცკი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 2:0 (1:0).

„შ ა ხ ტ ი ო რ ი“: კოროტკიხი, დროზდენკო, სალკოვი, სოროკინი, გურბიჩი, ბარდეშინი, ბოსი, სტანკიავიჩუსი, პილიპჩუკი, ევსეენკო, ფადეევი (ზიმა).

„ტ ო რ პ ე დ ო“: ანდღულაძე, ლოსაბერიძე, წვერავა, ებრალიძე, ძოძუაშვილი, კუტივაძე, ზარია, ვეკუა, ხაჟალია, გ. ნოდია, ასიტაშვილი.

მსაჯი ვ. ოსიპოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 2:1 „შახტიორის“ სასარგებლოდ.

მასპინძლებს არსებითად უფლება არა ჰქონდათ წაეგოთ ეს მატჩი. ჯერ ერთი, ეს იყო მეშახტის დღე, მეორე, — თამაში მიმდინარეობდა მათს განახლებულ სტადიონზე, დაბოლოს, — გუნდი ამ დღეს აღნიშნავდა იუბილეს, თავისი არსებობის 30 წლისთავს.

ყველაფერი ეს ამხნევებდა „შახტიორს“ და ძალას მატებდა მას. სტადიონზე გამართული საზეიმო ცერემონიალის შემდეგ მატჩი დაიწყო და მაშინვე ცხადი შეიქნა, რომ მასპინძლები გამარჯვებისთვის იყვნენ განწყობილი. ისინი გაათკეცებული ენერგიით, მონდომებით იბრძოდნენ, მაგრამ ტორპედოელთა დამარცხება იოლი როდი იყო. მინდორზე გაჩაღდა დაძაბული, შეუპოვარი ბრძოლა, სახიფათო მომენტები იქმნებოდა ორივე კართან.

მიმდინარეობდა 39-ე წუთი. ფადეევი გავიდა მარცხენა ფლანგზე, მიაწოდა სტანკიავიჩუსს და ამ უკანასკნელმა თავით გაგზავნა ბურთი კარში — 1:0.

გამარჯვება „შახტიორმა“ განამტკიცა, როცა მატჩის დამთავრებას სულ 3 წუთი აკლდა. პილიპჩუკთან ბრძოლისას „ტორპედოს“ მცველებმა წამით ღიად დატოვეს სოროკინი, მან მიიღო გადაცემა და ანგარიში გახდა 2:0.

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

## რადიორეპორტაჟი ალმა-ათიდან

დღეს სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურია. თბილისის დინამოელები ალმა-ათაში თამაშობენ „კაირატთან“. ამ მატჩის მეორე ნახევრის რადიორეპორტაჟს ფეხბურთის მოყვარულები მოისმენენ 18 საათზე თბილისის დროით.

20 საათზე (ასევე თბილისის დროით) დაიწყება კიევისა და მინსკის დინამოელთა მატჩის ტელეტრანსლაცია კიევიდან.

# ლიდერის სტილში

რუსთავი. „მეტალურგის“ სტადიონი. 28 აგვისტო.

„მეტალურგი“ (რუსთავი) — „ურალანი“ (ელისტა) 8:1 (4:0).

„მეტალურგი“: ჩუხუა (რ. შარაშენიძე), აფციაური, დუდნიკოვი, ჩხიკვაძე, ივჩენკო (გალოიანი), ჯ. შარაშენიძე (კობახიძე), დორეული, ლობზევი, დავითულიანი, ბოჭორიძე, დოგვაძე.

„ურალანი“: ალექსანდროვი (ტელენგიდოვი), ტარასოვი, კოპი, სოლოგუბოვი, ტიმოშენკოვი, კევრალეტინი, ულინჯიევი, ლებედევი (ცარიოვი), კლოჩკოვი, პეტროვი, კოჩიევი.

მსაჯი ნ. მამედ-ზადე (კიროვაბადი).

რუსთავის „მეტალურგის“ წარმატებას განვლილ მატჩში გულშემატკივრები მოელოდნენ კიდეც: საქმე ის არის, რომ „ურალანი“ აუტსაიდერთა შორის იმყოფება, ხოლო მასპინძლები ლიდერებში არიან, თანაც, „მეტალურგი“ ახლა საუკეთესო ფორმაშია. ასეთი იყო საერთო პროგნოზი, მაგრამ გუნდმა იგი „გადაჭარბებით“ გაამართლა და ძლიერად, კვალიფიციურად ითამაშა.

ჯერ კიდევ მატჩის პირველი წუთი მიმდინარეობდა, როცა სტუმრების კართან ზედიზედ შეიქმნა რამდენიმე სახიფათო მომენტი, ხოლო მე-3 წუთზე „ურალანმა“ უკვე ცენტრიდან დაიწყო თამაში: დორეულის მიერ შორიდან დარტყმული ბურთი მოხვდა ძელს და გავიდა კარში. მცირე ხნის შემდეგ დავითულიანმა მეორე ბურთი გაგზავნა მეტოქის კარში.

ელისტელები შეეცადნენ რამდენიმე მაინც გამოესწორებინათ მდგომარეობა, მაგრამ „მეტალურგის“ დაცვამ და მეკარემ დროულად მოახერხეს ყოველგვარი ხიფათის უვნებელყოფა. ტაიმის ბოლომდე შარაშენიძემ და ბოჭორიძემ 4:0-მდე აიყვანეს ანგარიში.

52-ე წუთზე დავითულიანმა კიდევ უფრო დააწინაურა თავისი გუნდი — 5:0. აქ სტუმრებმა ერთ-ერთი თავიანთი კონტრშეტევა საპასუხო გოლით დაამთავრეს, მაგრამ ეს იყო მათი პირველი და უკანასკნელი წარმატება. შემდგომში ლობზევმა ზედიზედ 2 ბურთი გაიტანა, ხოლო ანგარიში საბოლოოდ „დაამრგვალა“ დორეულმა.

რ. გაბრიძიძე.
(ჩვენი კორ.).

* * *

სურათზე: „მეტალურგი“ უტევს მოწინააღმდეგის კარს. გარღვევაზეა ბ. დავითულიანი.

ფოტო ავტორისა.



„ბ“ კლასი IV ზონა

განვლილ კვირას გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები „ბ“ კლასის რსფსრ-ს IV ზონის გუნდებს შორის.

## მინიმალური ანგარიშით

გორის „დილამ“ შინ მიიღო კრიმსკის „უროჟაი“.

მატჩი ორივე გუნდმა საკმაოდ მაღალ ტემპში, ენერგიულად დაიწყო, მაგრამ ბურთი უმთავრესად მინდვრის შუაგულში ტრიალებდა და თავდამსხმელებმა ვერ შეძლეს დაცვითი ხაზების წინააღმდეგობის დაძლევა.

ტემპი არ შენელებულა შესვენების შემდეგაც, მაგრამ პირველი ტაიმისგან განსხვავებით, სახიფათო მომენტები ხშირად იქმნებოდა ორივე კართან. 70-ე წუთზე „დილის“ თავდამსხმელებმა მარჯვენა ფლანგზე გაითამაშეს სწრაფი კომბინაცია და გოლის გატანის კარგი შესაძლებლობა ვერ გამოიყენა ნასყიდაშვილმა, ორიოდე წუთის შემდეგ კი „უროჟაის“ თავდამსხმელი გრიბენიუკი თითქმის მარტო დარჩა ცარიელი კარის წინ და რამდენიმე მეტრიდან ააცილა ბურთი მიზანს.

ერთადერთი გოლი, რომელმაც „დილას“ მოუტანა გამარჯვება, 75-ე წუთზე გაიტანა რევაზიშვილმა.

ა. გოზალიშვილი.

## მასპინძელთა გამარჯვებანი

**ტყიბულში** ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „მეშახტე“ და ნოვოროსიისკის „ცემენტი“. საინტერესო ბრძოლა დამთავრდა ტყიბულელთა გამარჯვებით — 1:0.

**გურჯაანში** თამაშობდნენ ადგილობრივი „ალაზანი“ და მაიკოპის „უროჟაი“. მატჩის ანგარიშია 2:0 „ალაზნის“ სასარგებლოდ.

## სხვა ქალაქებში

ამავე დღეს გაიმართა ტურის სხვა მატჩებიც: „ლორი“ (კიროვაკანი) — „კოლხიდა“ (ფოთი) 2:0, „სევანი“ (ოქტემბერიანი) — „ენგური“ (ზუგდიდი) 2:1, „არაქსი“ (ერევანი) — „სპარტაკი“ (კისლოვოდსკი) 0:1.

## გუშინ...

**თბილისში** გაიმართა „ა“ კლასის 11 ჯგუფის ფრენბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო გათამაშების მორიგი მატჩები. აი, მათი შედეგები: „ბურევესტნიკი“ (მინსკი) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი) 3:2, „ავანგარდი“ (ლუგანსკი) — ასკ (კიშინიოვი) 3:0, „კალევი“ (ტალინი) — „დინამო“ (ერევანი) 3:1, „დინამო“ (ლენინგრადი) „სპარტაკი“ (ლენინგრადი) 3:1.

● **ბუდაპეშტი**, 28 აგვისტო. ცნობილმა უნგრელმა ძალოსანმა ი. ფიოლდიმ (მჩატე წონა) 2,5 კილოგრამით გააუმჯობესა თავისივე მსოფლიო რეკორდი, რომელიც წლეულს, ივნისში დაამყარა. თავისი ქვეყნის ჩემპიონატში მან ამჯერად აწია 128,5 კგ.

● მ ო ს კ ო ვ ი, 27 აგვისტო. მოსკოვის ახლომდებარე სადგურ სხოდნიას „ტრუდის“ საცხენოსნო ბაზაზე დღეს დაიწყო სსრ კავშირის ჩემპიონატი თანამედროვე ხუთჭიდში. ეს საბჭოთა სპორტსმენების გენერალური რეპეტიციაა მსოფლიო ჩემპიონატის წინ, რომელიც ავსტრალიას გაიმართება ნოემბერში. საინტერესოა, რომ ამ შეჯიბრებაში პირველად არ მიიღებს მონაწილეობას მსოფლიოსა და სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ი. ნოვიკოვი, რომელიც ამიერიდან მწვრთნელად მოგვევლინება. პირველ დღეს ხუთჭიდელები საცხენოსნო კროსში ასპარეზობდნენ. ტრასა საკმაოდ რთული იყო. მრავალმა მონაწილემ ვერ შეძლო დადგენილ დროში (3.45,0) ჩატევა. ყველაზე უკეთ გამოვიდნენ არმიელები ვ. პიჩუჟკინი (კიევი), და ვ. ილინი (რიგა), აგრეთვე, სპარტაკელი ვ. ნაზაროვი (მოსკოვი) მათ უჯარიმოდ განვლეს დისტანცია და 1100-1100 ქულა დაიმსახურეს. უკეთესი დრო ჰქონდა პიჩუჟკინს — 3.36,4.

● ა მ ს ტ ე რ დ ა მ ი, 29 აგვისტო. აქ დამთავრდა ევროპის ქალთა პირველობა აკადემიურ ნიჩბოსნობაში. სსრ კავშირის წარმომადგენლებმა 5-დან მხოლოდ ოქროს 2 მედალი მოიპოვეს. ოქროს 3 მედალი მოიხვეჭეს გდრ-ის სპორტსმენებმა, რომლებმაც გაიმარჯვეს კიდეც საერთო გუნდურ ჩათვლაში. სსრ კავშირის სპორტსმენთაგან ჩემპიონები გახდნენ: 4-ადგილიანი გასაშლელით ა. ალექსეევა, ა. კულეშოვა, ვ. ლიულიაევა, გ. კლიმოვა და მესაჭე ნ. ზახაროვა (3.56,8) და ერთადგილიანით — გ. კონსტანტინოვა (4.16,8). ეს პირველი შემთხვევაა, როცა სსრ კავშირის სპორტსმენებმა წააგეს გუნდური ჩათვლა.

● **ვანკუვერი**, 29 აგვისტო. მოცურავეთა საერთაშორისო შეჯიბრების ბოლო დღეს 13 წლის მოსწავლე გოგონამ კ. მიუირმა (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) და მასპინძელმა, კანადელმა ე. ტანერმა 220 იარდზე კომპლექსურ ცურვაში მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარეს — 2.32,0. ორივემ 1,3 წამით გააუმჯობესა რეკორდი, რომელიც ტანერს ეკუთვნოდა, მაგრამ გამარჯვებულად კანადელი ცნეს (ტანერი მშობლიურ ქალაქში გამოდიოდა). ოლიმპიური ოქროს 4 მედლის მფლობელმა, ამერიკელმა დ. შოლანდერმა 220 იარდზე თავისუფალი სტილით ცურვაში აჩვენა 1.57,0, რაც, აგრეთვე, მსოფლიოს ახალი რეკორდია. ეს 0,3 წამით უმჯობესია ავსტრალიელ მ. ვენდენის ძველ მიღწევაზე.

## მოკლე ამბები

# რეკორდი... სტარტამდე

უნგრეთის მძლეოსანთა ნაკრების უფროსი მწვრთნელის ი. შირის ინტერვიუ აას-ის კორესპონდენტ ს. შენგმანთან

● ევროპის მორიგი პირველობა თქვენი სამშობლოს დედაქალაქში — ბუდაპეშტში იმართება. თქვენ იყავით კონტინენტის მძლეოსანთა პირველი ჩემპიონატის მონაწილე. როგორ დაახასიათებდით მძლეოსნური სპორტის პროგრესს პირველიდან მერვე ჩემპიონატამდე?

— მე ვარ არა მხოლოდ პირველი, არამედ მეორე ჩემპიონატის მონაწილეც. 1934 წელს ტურინში, სადაც პირველად შეიკრიბნენ კონტინენტის უძლიერესი მძლეოსნები, შევძელი მომეპოვებინა III ადგილი 100 მეტრზე — 10,7 და II ადგილი 200 მეტრზე რბენაში — 21,5. ახლა ჩემპიონატის პრიზიორები ამ მანძილებს სულ ცოტა ნახევარი წამით სწრაფად გაირბენენ. თითქოს არც ისე ბევრია, მაგრამ ჩვენ ხომ საუბარი გვაქვს სპრინტზე, სადაც ყოველი მეათედი წამი სარეკორდო შედეგში მრავალწლიანი გულმოდგინე საწვრთნელი მუშაობის ნაყოფია. სამაგიეროდ, პროგრესი ყველა სხვა სახეობაში პირდაპირ საოცარია. ჭოკით ხტომაში გამარჯვებულმა, მაგალითად, 1934 წელს მხოლოდ 4 მეტრი დაძლია, ახლა კი პრიზიორებში მოსახვედრად შეიძლება 5 მეტრიც არ იყოს საკმარისი. იმ პირველი ასპარეზობის ჩემპიონები ჩვენი დროის უძლიერეს სტაიერებთან, მაგალითად, რულანტსთან, ჟაზისთან, კუდინსკისთან სულ ცოტა ერთ-ორ წრეს წააგებდნენ.

პირველი ჩემპიონატის შემდეგ შეიცვალა არა მარტო შედეგები, არამედ გარეგნული სახეც სტადიონისა, სადაც შეჯიბრებები ტარდება. სპორტსმენები რბენას ახლა სასტარტო კალაპოტებით იწყებენ, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სარბენი ბილიკების ხარისხი, მხტომელები შეიარაღდნენ ფიბერგლასის ჭოკებით, მაგრამ საქმე მარტო ტექნიკურ სიახლეთა გამოყენება როდია. გიგანტური ნახტომი გაკეთდა მძლეოსანთა მომზადების მეთოდიკაშიც. ოცდაათიან წლებში აზრადაც არავის მოუვიდოდა შტანგით ვარჯიში, დღეისთვის კი იგი ყველა მძლეოსნის უცვლელი საწვრთნელი იარაღია. გაიზარდა სპორტსმენის დატვირთვაც. არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ფიქრობდნენ, რომ მძლეოსნობაში მაღალი შედეგების მოპოვება მხოლოდ ბუნებრივი მონაცემებით უხვად დაჯილდოებულ ადამიანებს შეუძლიათ. მაგრამ აღმოჩნდა, რომ თანამედროვე მეთოდიკის დახმარებით რეკორდებს „ამსხვრევენ" ისინიც, ვინც ბავშვობაში არ გამოირჩეოდა სიჯანსაღითა და საუკეთესო მონაცემებით. ადამიანი ბუნებაზე ძლიერი აღმოჩნდა.

● რით განსხვავდება ევროპის ახლანდელი ჩემპიონატი კონტინენტის იმ პირველობისგან, რომელიც 4 წლის წინათ გაიმართა ბელგრადში?

— ჩვენთვის, უნგრელებისთვის, ეს შეჯიბრება მხოლოდ კონტინენტის პირველობა როდია. უნდა ითქვას, რომ ევროპის ჩემპიონატის ჩატარებაზე ჩვენ ჯერ კიდევ სამი ათეული წლის წინათ ვოცნებობდით. 1932 წელს უნგრეთის მძლეოსანთა კავშირის თავმჯდომარის ს. სტანკოვიჩის თაოსნობით შეიქმნა ევროპის პირველობის მოსამზადებელი კომიტეტი, მაგრამ იმ ხანად ჩვენში არ იყო ჩემპიონატის გამართვის შესაძლებლობა და ასპარეზობა ტურინში გადაიტანეს. და აი, ჩვენი ოცნება ახდა, ახლა და მერე როგორ! შეჯიბრებაში ევროპის თითქმის ყველა ქვეყნის წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას. ეს კი კონტინენტის არც ერთ ჩემპიონატს არ ახსოვს. კიდევ ერთი რეკორდი, რომელიც უკვე სტარტამდე დამყარდა, ასპარეზობის მონაწილეთა რიცხვია: დაახლოებით 1000. ამასთან, რაკი ჩვენს „ნეპ-სტადიონს" 8 ბილიკი აქვს, ყოველი გარბენის სტარტზე პირველად გამოვა 8-8 სპორტსმენი.

● როგორია უნგრელი მძლეოსნების შანსები ამ ჩემპიონატში?

— ვვარაუდობთ, რომ ჩასათვლელ ქულებს მოვაგროვებთ პროგრამით გათვალისწინებულ სულ ცოტა 15 სახეობაში. მედლებზე წინასწარ ლაპარაკი ძნელია, ვინაიდან თითქმის ყველა მეტოქე ძალიან ძლიერია და გამარჯვებისთვის ყველა სახეობაში ბევრი თითქმის თანაბარი უნარის სპორტსმენი იბრძოლებს. იმედი გვაქვს ჩვენი საუკეთესო მტყორცნელების წარმატებისა. გ. ვარიუს, დ. ჟივოცკისა და გ. კულჩარს გამარჯვების კარგი შანსები აქვთ, მაგრამ ოქროს მედლისთვის მათ დიდი ბრძოლის გადატანა მოუწევთ სახიფათო მეტოქეებთან, პირველ ყოვლისა, სსრ კავშირის ათლეტებთან ე. გუშჩინთან, რ. კლიმთან და ი. ლუსისთან. კარგ სპორტულ ფორმაში არიან ჩვენი სპორტსმენი ქალები მ. რუდაშნე, ი. კლაიბერნე, ჟ. ნადი. ვფიქრობ, არც სხვები გამოვლენ ცუდად: ჰ. კალოჩაი — სამხტომში, ლ. მეჩერი — სტაიერულ რბენაში, ი. ხოშალა — სიგრძეზე ხტომაში.

● თქვენი აზრით, რა პერსპექტივები აქვთ საბჭოთა მძლეოსნებს?

— ეჭვიც არ მეპარება, რომ 30 აგვისტოდან 4 სექტემბრამდე — ჩემპიონატის პირველიდან ბოლო დღემდე — სსრ კავშირის სპორტსმენები განსაკუთრებულ ყურადღებას მიიქცევენ. თქვენი ნაკრები მეტად ძლიერია ასპარეზობის პროგრამით გათვალისწინებულ თითქმის ყველა სახეობაში, თანაც, საბჭოთა გუნდს ქულებს მარტო ლიდერები კი არა, ე. წ. მეორე და მესამე ნომრებიც მოუტანენ. ჩემი აზრით, ოქროს მედლის მოპოვების დიდი შანსები აქვთ ი. ტერ-ოვანესიანს, ვ. სკვორცოვს, გ. ბლიზნეცოვს, ი. ლუსისს, რ. კლიმს. რა თქმა უნდა, თანაბარძალიან, დიდი შესაძლებლობების მქონე მეტოქეთა ბრძოლაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ, ასეა თუ ისე, ვფიქრობ, საბჭოთა სპორტსმენები კარგად გამოვლენ ევროპის ჩემპიონატში.

## ორნი საქართველოდან

ევროპის მძლეოსანთა ჩემპიონატში საბჭოთა კავშირის ღირსებას სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ დაიცავენ მსოფლიოს ისეთი უძლიერესი ათლეტები, როგორც დები თ. და ი. პრესები, ტ. შჩელკანოვა და მ. იტკინა. მათი ადგილი უფრო ახალგაზრდებმა შეავსეს. საერთოდ, სსრ კავშირის ნაკრები ჩემპიონატში ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდულია: მისი საშუალო ასაკია 27 წელი. ჩვენს გუნდში „უხუცესად" გვევლინება სპორტული მოსიარულე, 36 წლის ა. ვედიაკოვი, ხოლო ყველაზე უმცროსი — სიმაღლეზე მხტომელი ვალენტინა კოზირი 16 წლისაა. ამ გოგონას პირადი რეკორდი 175 სანტიმეტრია და იგი მსოფლიო რეკორდსმენის ი. ბალაშის მემკვიდრედ მიაჩნიათ.

კონტინენტის ჩემპიონატში პირველად გამოვლენ საქართველოს სპორტსმენები: რომის ოლიმპიადის პრიზიორი ა. შჩერბინა (50 კმ სპორტულ სიარულში) და ქ. გორძემაშვილი (შუბის ტყორცნაში). ბუდაპეშტში შჩერბინას წარმატების დიდი შანსი აქვს, გორძემაშვილს კი უფრო გაუჭირდება, ვინაიდან მას ბევრი სახელგანთქმული მეტოქე ეყოლება ფინეთიდან, უნგრეთიდან, პოლონეთიდან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მენახშირის „ტრიუმფი"

ნიურბურგ-რინგი, 27 აგვისტო. ველოსიპედისტთა მსოფლიო ჩემპიონატი ბოშათა ბანაკის მსგავსად მომთაბარეობს. დღეს მან კიოლნიდან 80 კილომეტრზე სამხრეთ-დასავლეთით, ნიურბურგ-რინგის მზაკვრულ ტრასაზე გადაინაცვლა. აქ გათამაშდა ოქროს მედლები ჯგუფურ რბოლაში.

ვაჟებმა, როგორც ჯენტლმენებმა, ასპარეზი ქალებს დაუთმეს. და აი, სტარტი აიღო 15 ქვეყნის 42-მა ველოსიპედისტმა ქალმა. სულ მალე დაწინაურდა ლიდერთა ხუთეული, რომელთა შორის იყვნენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ე. იაკობსი (ლუქსემბურგი), ბელგიელი ი. რეინდერსი და „მარად ბრინჯაოს კავალერი" — ესტონელი ა. პურონენი.

ლიდერებმა მთელი ტრასის მანძილზე არავინ მიიკარეს და ოქროს მედალი, ფაქტიურად, ბოლო 100 მეტრზე გაათამაშეს. ფინიშის დასაწყისში ბედმა თითქოს პურონენს გაუღიმა, მაგრამ საკონტროლო ხაზთან დიდი სისწრაფე განავითარა რეინდერსმა. მას თითქოს ფრთები ჰქონდა გამოსხმული, ისე უახლოვდებოდა თავის მესამე ოქროს მედალს. და აკი მიიღო კიდეც!

ივონა რეინდერსი, რომელსაც ახლახან შეუსრულდა 27 წელი, თავს მაინცდამაინც არ იკლავს წვრთნით. იგი, უბრალოდ, მუყაითობს სამუშაოზე. საქმე ისაა, რომ ივონას თავისი კლიენტებისთვის ველოსიპედით დააქვს ნახშირი და „ზოგჯერ ძალზე ჩქარობს".

6 წრის გავლას, რომლის სიგრძე 46 კილომეტრს აღემატებოდა, ჩემპიონმა 1 საათი, 27 წუთი და 21 წამი მოანდომა. ასეთივე შედეგით II ადგილი დაიკავა ჰოლანდიელმა კ. ჰაგემ, ხოლო III, ისევე როგორც შარშან — ა. პურონენმა. დანარჩენმა ჩვენმა ველოსიპედისტებმა დაიკავეს: VI (ნ. ტროფიმოვა), VII (ლ. ხალიკი), IX (გ. იუდინა) და XI (ე. სონკი) ადგილები.

ფეხბურთი

## ა. ბოლი უგებს ჩემპიონს

შაბათს გათამაშების კალენდარულ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ინგლისის ჩემპიონი „ლივერპული" და თასის მფლობელი „ევერტონი" (ლივერპული). „გუდისონ-პარკის" სტადიონზე თავი მოიყარა 64 ათასმა მაყურებელმა, რაც წლევანდელი ჩემპიონატის სარეკორდო რიცხვია. „ლივერპულმა" მიმდინარე სეზონი ცუდად დაიწყო და „ევერტონთან" მატჩში შეეცადა შერყეული ავტორიტეტის აღდგენას. მაგრამ ჩემპიონის გეგმები „ევერტონის" ახლახან შეძენილმა 20 წლის „ვარსკვლავმა" ალან ბოლმა ჩაფუშა. შეხვედრის პირველივე წუთებიდან ბოლის დაკავება პირდაპირ შეუძლებელ ამოცანად იქცა. რამდენიმე წუთის მანძილზე ამ დაუღალავმა თავდამსხმელმა ორჯერ აიღო „ლივერპულის" კარი. საბოლოოდ, ჩემპიონი დამარცხდა — 1:3.

ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვა ლონდონის „არსენალმა": ამჯერად მან დაამარცხა „ასტონ ვილა" — 1:0. გოლი გაიტანა ბოლდუინმა. ლონდონის გაზეთების აზრით, „არსენალს" ახალი მწვრთნელის სექსტონის ხელმძღვანელობით წარსული დიდების აღდგენა ძალუძს.

ტურის სხვა შედეგები ასეთია: „ლიდს იუნაიტედი" — „მანჩესტერ იუნაიტედი" 3:1, „ჩელსი" — „შეფილდ უენსდეი" 0:0, „ბლეკპული" — „საუთჰემპტონი" 2:3, „ლესტერ-სიტი" — „ვესტ ჰემ იუნაიტედი" 5:4, „მანჩესტერ-სიტი" — „სანდერლენდი" 1:0, „ნიუკასლ იუნაიტედი" — „ტოტენჰემ ჰოტსპური" 0:2, „შეფილდ იუნაიტედი" — „ნოტინგემ ფორესტი" 1:2, „სტოკ-სიტი" — „ფულჰემი" 1:2, „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი" — „ბერნლი" 1:2.

6 ქულით ლიდერობს ლონდონის „არსენალი".

(საქ. ინფ.).

## ჟაირის დაბრუნება

როგორც ვიუწყებოდით, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მოსკოვის „ტორპედოს" პირველმა მეტოქემ — მილანის „ინტერნაციონალემ" ინტენსიური წვრთნა დაიწყო. ამ დღეებში გუნდს დაუბრუნდა ცნობილი ბრაზილიელი თავდამსხმელი ჟაირი, რომელიც მძიმედ იყო დაშავებული და „ინტერიდან" წასულად ითვლებოდა.

ჩემპიონატის დაწყებამდე ორ კვირაზე ცოტა მეტი დარჩა, მაგრამ, ერერას თქმით, ძირითადი შემადგენლობის დადგენა ჯერ შეუძლებელია. წვრთნას 24 ფეხბურთელი გადის და ყოველ მათგანს თანაბარი შანსი აქვს. აი, მათი გვარები: სარტი, მინიუსი, ფიაკადორი, ბუგატი, ფაკეტი, ლანდინი, ბურგნიჩი, დეო, ჟაირი, მაცოლა, ვანელა, პიკი, დომენგინი, კაპელინი, გოვერნატო, სოლდო, სუარესი, ბედინი, ბიანკი, გუარნერი, ფაკო, კორსო, ვინიჩიო, რიპამონტი.

გუნდის მწვრთნელი ე. ერერა რეგულარულად უკავშირდება მოსკოვს, საიდანაც იტალიის საელჩოს თანამშრომლები მას „ტორპედოს" შესახებ საჭირო ინფორმაციას აწვდიან. სექტემბერში კი თვით ერერა იწვევა მოსკოვს. იგი „ტორპედოს" ერთ-ერთ კალენდარულ მატჩში ნახავს, აგრეთვე, გაეცნობა მინდორს.

პრესა აღნიშნავს, რომ „ინტერს" განზრახული აქვს ახალი ფეხბურთელების შეძენა, მაგრამ ერერას ჯერ გადაწყვეტილება არ მიუღია და ამიტომ საკითხი ღიად რჩება.

(საქ. ინფ.).



## სკანდალი კაიროს სტადიონზე

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ჩემპიონატის მატჩებში იშვიათი როდია მაყურებელთა აყალმაყალი, მაგრამ „ზამალეკის" და „ნეიშნელის" შეხვედრის დროს მომხდარი სკანდალი ეგვიპტური ფეხბურთის ისტორიაში უპრეცედენტო იყო. მაყურებელს მოეჩვენა, რომ მსაჯმა უსწოროდ ჩათვალა გოლი და აი, ხალხი მინდორზე გადავიდა. 15 წუთის განმავლობაში ათასზე მეტმა პოლიციელმა ვერ შეძლო ამზოხებულ გულშემატკივართა დაშოშმინება. უწესრიგობა მატჩის შემდეგაც გაგრძელდა.

სურათებზე თქვენ ხედავთ ამ სკანდალის ორ ეპიზოდს: „ზამალეკის" კლუბის შენობის წინ თავშეყრილი გულშემატკივრები წვავენ იქვე მდგარ ავტომანქანებს; არეულობა ტრიბუნებზე.

ფოტო იუპი-ს სააგენტოსი.



## კვლავ გამარჯვება

შოტლანდიის ლიგის თასის გათამაშების მატჩში შაბათს მორიგი გამარჯვება მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონმა — გლაზგოს „სელტიკმა". მან დაამარცხა ედინბურგის „ჰართ ოვ მიდლოტიენი" — 3:0. თასის მფლობელი „გლაზგო რეინჯერსი" დამარცხდა „ჰიბერნიენთან" — 2:3.

(საქ. ინფ.).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

### თბილისის სპორტულ ბაზებზე

**საწყალოსნო - სამოტორო სპორტი.** თბილისის ზღვის წყალჯომარდობის სადგური. **30-31 აგვისტო. დოსააფის საკავშირო პირად-გუნდური პირველობა.** დასაწყისი 10 ს.

**ფეხბურთი.** „ლოკომოტივის" სტადიონი (ი. ჭავჭავაძის პრ. № 74). **სსრ კავშირის პირველობა. „ა" კლასი (II ჯგუფი). „ლოკომოტივი" (თბილისი) — „დინამო" (კიროვაბადი).** დღეს — სათადარიგო შემადგენლობანი, ხვალ — ძირითადი შემადგენლობანი. მატჩების დასაწყისი 17 ს. 30 წ. „დინამოს" სტადიონი. **1 სექტემბერი. საქართველოს თასის ფინალი. „გურია" (ლანჩხუთი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი).** დასაწყისი 18 ს.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.



უე 05062